საქმე N3303100144146 40 (№3ბ/1235-14)

1143747878669

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

23 დეკემბერი, 2014 წელი ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მოსამართლე: ნანა კობახიძე

სხდომის მდივანი: სოფიო ჯაფარიძე

აპელანტი – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
წარმომადგენელი: შოთა კუბლაშვილი

მოწინააღმდეგე მხარე – სააიპ მწვანე ალტერნატივა
წარმომადგენელი: ირმა მახათაძე

მესამე პირი - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
წარმომადგენელი: დავით გოგიბერიძე

მესამე პირი - შპს ,,RMG Gold", სს ,,RMG Copper"
წარმომადგენელი: მიხეილ სამხარაძე

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება

1. აპელანტ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მოთხოვნა:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18

ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში და მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ააიპ „მწვანე ალტერნატივას" სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2013 წლის 16 დეკემბრის №ი-344 ბრძანება და დაევალა მოპასუხე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ააიპ „მწვანე ალტერნატივას" ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. დანარჩენ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით

2.2. სასამართლომ დაადგენილად მიიჩნია, რომ 2013 წლის 13 აგვისტოს, ააიპ „მწვანე ალტერნატივამ" წერილით მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა შპს „RMG Gold"-სა და სს „RMG Copper"-ის 2012 წლის საინფორმაციო გეოლოგიური ანგარიშის ასლი. მოსარჩელემ მითითებულ წერილში აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუკი ინფორმაცია იქნებოდა საიდუმლოების შემცველი, მოითხოვა იმ დოკუმენტების მიწოდება, რომელიც არ შეიცავდა საიდუმლო ინფორმაციას და ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის დამადასტურებელი გადაწყვეტილება.

2.3. 2013 წლის 26 აგვისტოს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ N1672 წერილით, ააიპ „მწვანე ალტერნატივას" 13.08.2013წ. N04/09/01-105 წერილის პასუხად გაუზავნა შპს „RMG Gold"-სა და სს „RMG Copper"-ის 2012 წლის გეოლოგიური ანგარიშის ასლის ის ნაწილი, რომლის გასაჯაროება კანონით იყო დასაშვები. დანარჩენ ნაწილზე მიუთითა, რომ "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა იმ პირის საკუთრებას, რომლის სახსრებითაც იქნა იგი მოპოვებული და მისი გაცემა სხვა პირისათვის მესაკუთრის თანხმობის გარეშე დაუშვებელი იყო.

2.4 2013 წლის 26 აგვისტოს მოწოდებული 2012 წლის საინფორმაციო გეოლოგიურ ანგარიშში მითითებული იყო, რომ გარემოს დაცვის სამსახურის კვლევითი ლაბორატორიის (რომელიც ამჟამად ექვემდებარება ცენტრალურ ქიმიურ ლაბორატორიას) მიერ ხორციელდებოდა სისტემატიური ყოველდღიური მონიტორინგი ჩამდინარე წყლებზე დადგენილ წერტილებში, შესაბამისი დოკუმენტაცია კი ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" 2013 წლის 26 აგვისტოს N1672 წერილით არ გადასცემია.

2.5 2013 წლის პირველ ოქტომბერს, ააიპ "მწვანე ალტერნატივამ" კვლავ მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინიტროს N04/09/01-112 წერილით და მოითხოვა შემდეგი ინფორმაცია: შპს RMG Gold-სა და სს RMG Copper-ის

საკუთრებაში არსებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიების გაცემისა და გაცემულ ლიცენზიებში შესული ცვლილებების (მათ შორის გაუქმების) შეტანისათვის გამოცემული ყველა სამართლებრივი აქტის ასლი, ასევე შპს RMG Gold-სა და სს RMG Copper-ის მიერ 2012 წლის განმავლობაში სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, წარმოდგენილი ანგარიშების ასლი. ასევე მოითხოვა მიეწოდებინათ ჩამდინარე წყლებზე დადგენილ წერტილებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები, რომელიც 2013 წლის 26 აგვისტოს წარმოდგენილი 2012 წლის შემოკლებული ანგარიშის თანახმად. თან ერთვის ძირითად ანგარიშს.

2.6. 2013 წლის 22 ოქტომბერს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ N2620 წერილით ააიპ მწვანე ალტერნატივას N04/09/01-112 წერილის პასუხად მიაწოდა შემდეგი ინფორმაცია: წიაღით სარგებლობის ლიცენზიების გაცემისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები (დანართი 20 გვერდი) და ამონარიდი შპს RMG Gold-სა და სს RMG Copper-ის მიერ წარმოდგენილი გეოლოგიური ანგარიშიდან ლიცენზიის მფლობელის მიერ, 2012 წლის განმავლობაში ჩამდინარე წყლების მონიტორინგთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოების შესახებ (დანართი 3 გვერდი). ხოლო, რაც შეეხება ლაბორატორიის კვლევის შედეგებს, მოსარჩელეს განემარტა, რომ ეს იყო "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებული კატეგორიისათვის მიკუთვნებული ინფორმაცია, ამიტომ იგი წარმოადგენდა იმ პირის საკუთრებას, რომლის სახსრებითაც იქნა ეს ინფორმაცია მოპოვებული.

2.7. 2013 წლის 22 ოქტომბრის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 11 თებერვლის N1-1/291 ბრძანებით შპს „ტრანს ჯორჯიან რესურსზე" გაცემული წიაღით სარგებლობის N0010 ლიცენზია გადაფორმდა მის უფლებამონაცვლე შპს "კვარციტზე", ხოლო სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 30 ოქტომბრის N13/544 ბრძანების შესაბამისად, ცნობად იქნა მიღებული, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდა შპს „კვარციტი"-ს საფირმო სახელწოდების ცვლილება შპს „RMG Gold"-ით. დაევალა სააგენტოს წიაღის მართვის დეპარტამენტს სალიცენზიო რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

2.8 სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2011 წლის 6 დეკემბრის N13/576 ბრძანების შესაბამისად, სს „მადნეულზე" გაიცა ლიცენზია ბოლნისის მუნიციპალიტეტში სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა მოპოვების მიზნით 26,28 ჰა ფართობზე დანართით განსაზღვრული X და Y კოორდინატების ფარგლებში, ლიცენზიის გაცემის დღიდან 2014 წლის 12 აპრილამდე. ხოლო სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 30 ოქტომბრის N13/546 ბრძანებით ცნობად იქნა მიღებული, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდა სს „მადნეულის" საფირმო სახელწოდების ცვლილება შპს „RMG Copper"-ით. დაევალა სააგენტოს წიაღის მართვის დეპარტამენტს სალიცენზიო რეესტრში შესაბამის ცვლილების შეტანა.

2.9 2013 წლის 14 ნოემბერს, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივამ" ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და მოითხოვა მის მიერ 2013 წლის 1 ოქტომბრის განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

2.10. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 16 დეკემბრის №-344 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ააიპ "მწვანე ალტერნატივა"-ს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

2.11 სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ" პუნქტის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

აღნიშნული ნორმის დეფინიციის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული დოკუმენტის ინდივიდუალურ ადმინისტაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ იგი ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს აღნიშნულ იმპერატიულ-ნორმატიულ მოთხოვნებს და შეიცავდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ყველა ელემენტს, კერძოდ: სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან და ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართული უნდა იყოს კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისა და არსებული სამართლერივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ანუ იგი უნდა აწესებდეს, ცვლიდეს, წყვეტდეს ან ადასტურებდეს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული 2013 წლის 16 დეკემბრის №ი-344 ბრძანება ააიპ „მწვანე ალტერნატივას" ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს

კონსტიტუციასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან, ,,წიაღის შესახებ'' საქართველოს კანონთან და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებებთან.

2.12 სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით მოსარჩელისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლი, რომლის თანახმად, ინფორმაცია წიაღის გეოლოგიური აგებულების, წიაღისეულის მარაგებისა და რესურსების, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობების და სხვა თვისებების ან პარამეტრების შესახებ, წარმოადგენს იმ სუბიექტის საკუთრებას, რომლის სახსრებითაც არის მოპოვებული ეს ინფორმაცია. შეიძლება წიაღისა და წიაღისეულის შესახებ გეოლოგიური ან სხვა სახის ინფორმაციის გაყიდვა ან შესყიდვა. საქართველოს კანონმდებლობა იცავს საკუთრების უფლებას წიაღისა და წიაღისეულის შესახებ გეოლოგიურ ან სხვა ინფორმაციაზე. დაუშვებელია სახელმწიფო საფინანსო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ მიიჩნია, რომ ააიპ "მწვანე ალტერნატივა"-ს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია მითითებული საკანონმდებლო აქტის 29-ე მუხლის საფუძველზე, ექვემდებარებოდა დაცვას და მის გამჟღავნება შესაძლებელი იყო მხოლოდ მესაკუთრის - ლიცენზიის მფლობელის თანხმობით.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ააიპ "მწვანე ალტერნატივა"-მ მოითხოვა შპს RMG Gold-სა და სს RMG Copper-ის მიერ 2012 წლის განმავლობაში სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი ანგარიშების ასლები. მითითებული საკანონმდებო აქტის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ლიცენზიის მფლობელი ყოველწლიურად, 1 აპრილიდან 1 მაისამდე ახორციელებს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგებას. ანგარიშგება ხდება ლიცენზიის გამცემისთვის წერილობით წარდგენით. ამავე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულებას აკონტროლებს ლიცენზიის გამცემი. ხოლო მე-2 პუნქტი ადგენს, რომ ლიცენზიის გამცემი კონტროლს ახორციელებს მხოლოდ სალიცენზიო პირობების შესრულების შერჩევითი შემოწმებით ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ რეგულარული ანგარიშგებით.

სასამართლომ მიუთითა 2012 წელს მოქმედ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2003 წლის 1 მაისის №46 ბრძანებით დამტკიცებულ ,,წიაღით სარგებლობის მდგომარეობაზე ინფორმაციის (ანგარიშის) შედგენის და ლიცენზიის მოქმედების ყოველწლიური აღნიშვნისათვის წარდგენის წესის შესახებ'' დებულებაზე, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ასევე არეგულირებდა საინფორმაციო ანგარიშის შედგენისა და წიაღით სარგებლობის მდგომარეობაზე ინფორმაციის (ანგარიშის) წარდგენის წესს. მითითებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის II თავის (წიაღით სარგებლობის საინფორმაციო ანგარიშის მიმართ წაყენებული მოთხოვნები) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, წიაღით მოსარგებლე სუბიექტებს დაეკისრათ ვალდებულება ლიცენზიით განსაზღვრულ

ვადებში სამინისტროს წარუდგინონ საინფორმაციო ანგარიში წიაღით სარგებლობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც უნდა შედგენილიყო ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით. იგივე წესია დადგენილი „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლით. დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საინფორმაციო ანგარიში მოიცავს ტექსტს, თანდართული ანალიტიკური და გრაფიკული მასალების განმარტებითი ბარათის სახით. ხოლო მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით განისაზღვრა, რომ სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების განხილვისა და შეთანხმებებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წიაღის რაციონალურად გამოყენებისა და გარემოს დაცვითი ღონისძიებების ეფექტურობას. ამდენად, ცალსახაა, რომ წიაღით მოსარგებლე სუბიექტის მიერ წარდგენილი ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გარემოს დაცვითი ღონისძიებების თაობაზე, რაც უდავოდ განეკუთვნება ინფორმაციის იმ კატეგორიას, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია და უზრუნველყოფილია ნებისმიერი პირისათვის მისი ხელმისაწვდომობა.

2.13. სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს, რომ სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად. მე-5 პუნქტის თანხმად კი, ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.

სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის №2/1/524 გადაწყვეტილებაზე (საქმის დასახელება: საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), სადაც სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შინაარსის, დანიშნულებისა და სულისკვეთების გათვალისწინებით უდავოა, რომ კონსტიტუცია ესწრაფვის ჯანსაღ გარემოზე უფლების მაღალი სტანდარტის ჩამოყალიბებას და მას ადამიანის ძირითად უფლებად განიხილავს. ეკოლოგიური უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში მოქცევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოებრივი მონაწილეობისა და სხვა გარემოსდაცვითი მექანიზმების გამართული, ეფექტური მუშაობისა და კოორდინაციისათვის. ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების დადგენით, საქართველოს კონსტიტუცია ადასტურებს და განამტკიცებს კონსტიტუციურ ღირებულებათა წესრიგში მდგრადი ეკოლოგიური განვითარების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც წარმოადგენს პირის მიერ ინფორმაციის მიღების უფლების სპეციალურ შემთხვევას (ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ). იგი წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიაწოდოს გარემოს მდგომარეობის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაცია.

ამასთანავე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დადგენის გარდა, 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, მუდმივად აწარმოოს გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რათა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნეს ასეთი ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა. სასამართლომ განმარტა, რომ ეს ორი ვალდებულება ერთმანეთთან ორგანულად არის დაკავშირებული, რადგან ამ ტიპის ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების გარეშე, შეუძლებელი იქნება ადამიანის უფლებების ეფექტური რეალიზება. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ვალდებულება ასევე გარანტირებულია "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციით". აღნიშნული კონვენციით აღიარებულია, რომ ყოველ ადამიანს აქვს მისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესაბამის გარემოში სიცოცხლის უფლება, აგრეთვე ყოველ მოქალაქეს გააჩნია მოვალეობა როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად დაიცვას და გააუმჯობესოს გარემო ახლანდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ. ამავე კონცენციით მიიჩნევა, რომ ამ უფლებების დასაცავად და მოვალეობების შესასრულებლად, მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს გარემოსდაცვითი ინფორმაცია და მათ უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება. ასევე აღიარებულია, რომ ცალკეულ მოქალაქეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და კერძო სექტორს შეუძლიათ შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი გარემოს დაცვის სფეროში.

გარემოს შესახებ ინფორმაციის გაცემის ვალდებულება ასევე გარანტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლით, სადაც "გარემოს შესახებ ინფორმაცია" მოქცეულია ისეთ ინფორმაციათა კატეგორიაში, რომლის გასაიდუმლოებაც დაუშვებელია.

2.14. სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გათილად ცნობის ერთ-ერთ საფუძვლად ადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსებით დარღვევას. ხოლო ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, თუ ასეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი - უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ამავე საკანონმდებლო აქტის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე,

რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ხოლო ამავე კოდექსის 96-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი.

სასამართლომ ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველზე მიიჩნია, რომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2013 წლის 16 დეკემბრის №ი-344 ბრძანება და უნდა დაევალოს მოპასუხეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, იმსჯელოს ააიპ „მწვანე ალტერნატივას" მიერ წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე, კერძოდ, სპეციალისტებისა და დაინტერესებული პირების მონაწილეობით გამოიკვლიოს ლიცენზიის მფლობელების მიერ წარდგენილი ანგარიში (ის ნაწილი, რომლის გაცემაზეც მოსარჩელეს ეთქვა უარი) შეიცავს თუ არა გარემოს შესახებ ინფორმაციას; ასევე გამოიკვლიოს მიეწოდა თუ არა ააიპ „მწვანე ალტერნატივას" წინა წლების ანგარიში სრულყოფილი სახით, დადებით შემთხვევაში, დაასაბუთოს, ამ ეტაპზე ინფორმაციის გაუცემლობის მიზეზი. ასევე ზემოაღნიშნულ ნორმათა ანალიზის შედეგად შეაფასოს აჭარბებს თუ არა მოსარჩელის ინტერესი - მიიღოს მოთხოვილი ანგარიშის ასლი (სრულყოფილი სახით), წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელთა ინტერესს - არ გაიცეს მოთხოვილ ანგარიშში მითითებული მონაცემები მათი თანხმობის გარეშე.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ზემოხსენებულ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს ქმედების განხორციელებაზე მოპასუხის უარის კანონიერების საკითხი, ამდენად, სარჩელის მოთხოვნა - 2013 წლის 01 ოქტომბრის №04/09/01-102 განცხადების მეორე პუნქტით მოთხოვილი ინფორმაციის მოსარჩელისათვის გადაცემის დავალდებულების ნაწილში, ამ ეტაპზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები:

3.1. აპელანტი - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის

სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიყენა კანონი რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რის გამოც, სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 377-ე მუხლის მოთხოვნათა საფუძველზე უნდა შეამოწმოს გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობა სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად. კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებას, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 16 დეკემბრის N344 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, საფუძვლად უდევს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლი. სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას არ ეთანხმება აპელანტი, ვინაიდან უდავოდაა დადგენილი, რომ სააიპ „მწვანე ალტერნატივის" მიერ სამინისტროში შემოტანილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა უზრუნველყოფილ იქნა სზაკ-ის მე-6 თავით დადგენილი წესებისა და პირობების მიხედვით. საქმეში წარმოდგენილი იქნა ადმინისტრაციული წარმოების მასალები, რომლებიც არ მიუთითებს აქტის გამოცემის პროცესუალური ეტაპების დარღვევას. აქედან გამომდინარე დაინტერესებული მხარეების - სააიპ „მწვანე ალტერნატივის" , სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის და სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მონაწილეობით განხილულ იქნა სააიპ „მწვანე ალტერნატივის" მიერ შედგენილი ადმინისტრაციული საჩივარი, შესაბამისად, მხარეებს მიეცათ საკუთარი მოსაზრებების წარდგენის საშუალება, გამოკვლეულ და შესწავლილ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და საპროცესო ნორმათა სრული დაცვის შედეგად მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება.

აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი არ არის სამინისტროს მიერ თუ რომელი პროცესუალური ნორმა იქნა დარღვეული ან საქმისთვის მნიშვნელობის მქონე რომელი ფაქტი არ იქნა გამოკვლეული, აქედან გამომდინარე ცალსახაა, რომ სასამართლოს მიერ მოხდა ფაქტებისა და კანონის ზოგადი შეფასება და არასრული განმარტება, რომელსაც საფუძვლად არ უდევს არანაირი ფაქტობრივი გარემოებები, აღნიშნული კი გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ დაუსაბუთებლობას მიუთითებს, რაც თავის მხრივ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს.

აპელანტი სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს სზაკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ასევე სზაკ-ის 28-ე მუხლის პირველ ნაწილზე: საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

საქალაქო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ საკონსტიტუციო ჩანაწერი, კერძოდ, მისი 37-ე მუხლი (ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ) წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიაწოდოს გარემოს მდგომარეობის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაცია. სზაკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის ჩანაწერით, კი ამ ვალდებულებისაგან გათავისუფლება დასაშვებია კანონის საფუძველზე. „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებულია შემთხვევა, რომლის მიხედვითაც ინფორმაცია წიაღის გეოლოგიური აგებულების, წიაღისეულის მარაგებისა და რესურსების, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობების და სხვა თვისებებისა და პარამეტრების შესახებ წარმოადგენს იმ სუბიექტის საკუთრებას, რომლის სახსრებითაც არის მოპოვებული ეს ინფორმაცია. ამასთან საქართველოს კანონმდებლობა იცავს საკუთრების უფლებას წიაღისა და წიაღისეულის შესახებ გეოლოგიურ ან სხვა ინფორმაციაზე. დაუშვებელია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე. აქედან გამომდინარეს სზაკ-ის მე-5 და 28-ე მუხლებით დადგენილი შეზღუდვის მიხედვით, სამინისტრო არ იყო უფლებამოსილი მოსარჩელისათვის (განმცხადებლისათვის) სრულად მიეწოდებინა შპს „RMG GOLD"-ისა და ს.ს "RMG COPPER"-ის მიერ 2012 წლის განმავლობაში სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების ასლები, რამდენადაც მოთხოვნილი დოკუმენტაცია მოიცავს წიაღის გეოლოგიური აგებულების, წიაღისეულის მარაგებისა და რესურსების, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობების, საძიებო სამუშაოების, ქანების მინერალური შემადგენლობის შესახებ ინფორმაციას, ხოლო ამ სახის ინფორმაცია „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 29-მუხლის თანახმად იმ სუბიექტის საკუთრებაა, ვისი სახსრებითაცაა მოპოვებული და დაუშვებელია ინფორმაციის გაცემა მესაკუთრის თანხმობის გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 და 28-ე მუხლების, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, განმცხადებელს უარი ეთქვა ინფორმაციის გაცემაზე სრულყოფილი სახით, თუმცა კანონის ის მოთხოვნა, რომ ასეთი ინფორმაციის მიღებაზე უნდა ყოფილიყო მესაკუთრის თანხმობა, მოსარჩელის მიერ არ იქნა გამოყენებული. ხოლო მესაკუთრის თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში, სამინისტროს მიერ არსებითად სხვა გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული.

აპელანტის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება იურიდიულად არასრული და სამართლებრივად დაუსაბუთებელია, შესაბამისად იგი უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ასევე უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სახელმწიფო ბაჟის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროზე დაკისრების შესახებ, ვინაიდან, სადავო აქტი გამოცემული კანონის სრული დაცვით და ასევე, საქართველოს კანონის „სახელმწიფო ბაჟის" შესახებ მე-5 მუხლის „უ" ქვეპუნქტის მიხედვით სამინისტრო გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

4.1 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

4.2 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

4.3 პალატა თვლის, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

ფაქტობრივი დასაბუთება:

4.4 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ, საქმე განიხილა უხეში საპროცესო დარღვევების გარეშე, ამასთან, სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, დამატებით მიუთითებს შემდეგზე:

4.5 დადგენილია, რომ 2013 წლის 13 აგვისტოს, სააიპ „მწვანე ალტერნატივამ“ წერილით მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა შპს „RMG Gold“-სა და სს „RMG Copper“-ის 2012 წლის საინფორმაციო გეოლოგიური ანგარიშის ასლი. მოსარჩელემ მითითებულ წერილში აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუკი ინფორმაცია იქნებოდა საიდუმლოების შემცველი, მოითხოვა იმ დოკუმენტების მიწოდება, რომელიც არ შეიცავდა საიდუმლო ინფორმაციას და ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის დამადასტურებელი გადაწყვეტილება.

4.6 2013 წლის 26 აგვისტოს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ N1672 წერილით, სააიპ „მწვანე ალტერნატივას“ 13.08.2013წ. N04/09/01-105 წერილის პასუხად გაუზავნა შპს „RMG Gold“-სა და სს „RMG Copper“-ის 2012 წლის გეოლოგიური ანგარიშის ასლის ის ნაწილი, რომლის გასაჯაროება კანონით

იყო დასაშვები. დანარჩენ ნაწილზე მიუთითა, რომ "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა იმ პირის საკუთრებას, რომლის სახსრებითაც იქნა იგი მოპოვებული და მისი გაცემა სხვა პირისათვის მესაკუთრის თანხმობის გარეშე დაუშვებელი იყო.

4.7 2013 წლის 26 აგვისტოს, მოწოდებული 2012 წლის საინფორმაციო გეოლოგიურ ანგარიშში მითითებული იყო, რომ გარემოს დაცვის სამსახურის კვლევითი ლაბორატორიის (რომელიც ამჟამად ექვემდებარება ცენტრალურ ქიმიურ ლაბორატორიას) მიერ ხორციელდებოდა სისტემატიური ყოველდღიური მონიტორინგი ჩამდინარე წყლებზე დადგენილ წერტილებში, შესაბამისი დოკუმენტაცია კი ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" 2013 წლის 26 აგვისტოს N 1672 წერილით არ გადასცემია.

4.8 2013 წლის 01 ოქტომბერს ააიპ "მწვანე ალტერნატივამ" კვლავ მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინიტროს N04/09/01-112 წერილით და მოითხოვა შემდეგი ინფორმაცია: შპს RMG Gold-სა და სს RMG Copper-ის საკუთრებაში არსებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიების გაცემისა და გაცემულ ლიცენზიებში შესული ცვლილებების (მათ შორის გაუქმების) შეტანისათვის გამოცემული ყველა სამართლებრივი აქტის ასლი, ასევე შპს RMG Gold-სა და სს RMG Copper-ის მიერ 2012 წლის განმავლობაში სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, წარმოდგენილი ანგარიშების ასლი. ასევე მოითხოვა მიეწოდებინათ ჩამდინარე წყლებზე დადგენილ წერტილებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები, რომელიც 2013 წლის 26 აგვისტოს წარმოდგენილი 2012 წლის შემოკლებული ანგარიშის თანახმად, თან ერთვის ძირითად ანგარიშს.

4.9 2013 წლის 22 ოქტომბერს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ N2620 წერილით ააიპ მწვანე ალტერნატივას N04/09/01-112 წერილის პასუხად მიაწოდა შემდეგი ინფორმაცია: წიაღით სარგებლობის ლიცენზიების გაცემისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები (დანართი 20 გვერდი) და ამონარიდი შპს RMG Gold-სა და სს RMG Copper-ის მიერ წარმოდგენილი გეოლოგიური ანგარიშიდან ლიცენზიის მფლობელის მიერ 2012 წლის განმავლობაში ჩამდინარე წყლების მონიტორინგთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოების შესახებ (დანართი 3 გვერდი). რაც შეეხება ლაბორატორიის კვლევის შედეგებს, მოსარჩელეს განემარტა, რომ ეს იყო "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებული კატეგორიისათვის მიკუთვნებული ინფორმაცია, ამიტომ იგი წარმოადგენდა იმ პირის საკუთრებას, რომლის სახსრებითაც იქნა ეს ინფორმაცია მოპოვებული.

4.10 დადგენილია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 11 თებერვლის N1-1/291 ბრძანებით შპს „ტრანს ჯორჯიან რესურსზე" გაცემული წიაღით სარგებლობის N0010 ლიცენზია გადაფორმდა მის უფლებამონაცვლე შპს "კვარციტზე", ხოლო სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 30 ოქტომბრის N13/544 ბრძანების შესაბამისად ცნობად იქნა მიღებული, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდა შპს „კვარციტი"-ს საფირმო სახელწოდების ცვლილება შპს „RMG Gold"-ით. დაევალა

თვისებების ან პარამეტრების შესახებ, წარმოადგენს იმ სუბიექტის საკუთრებას, რომლის სახსრებითაც არის მოპოვებული ეს ინფორმაცია. შეიძლება წიაღისა და წიაღისეულის შესახებ გეოლოგიური ან სხვა სახის ინფორმაციის გაყიდვა ან შესყიდვა. საქართველოს კანონმდებლობა იცავს საკუთრების უფლებას წიაღისა და წიაღისეულის შესახებ გეოლოგიურ ან სხვა ინფორმაციაზე. დაუშვებელია სახელმწიფო საფინანსო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე.

პალატა მიუთითებს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ლიცენზიის მფლობელი ყოველწლიურად, 1 აპრილიდან 1 მაისამდე ახორციელებს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგებას. ანგარიშგება ხდება ლიცენზიის გამცემისთვის წერილობით წარდგენით. ამავე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულებას აკონტროლებს ლიცენზიის გამცემი. ხოლო მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ ლიცენზიის გამცემი კონტროლს ახორციელებს მხოლოდ სალიცენზიო პირობების შესრულების შერჩევითი შემოწმებით ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ რეგულარული ანგარიშგებით.

2012 წელს მოქმედი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2003 წლის 1 მაისის №46 ბრძანებით დამტკიცებული „წიაღით სარგებლობის მდგომარეობაზე ინფორმაციის (ანგარიშის) შედგენის და ლიცენზიის მოქმედების ყოველწლიური აღნიშვნისათვის წარდგენის წესის შესახებ" დებულების II თავის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, წიაღით მოსარგებლე სუბიექტებს დაეკისრათ ვალდებულება ლიცენზიით განსაზღვრულ ვადებში სამინისტროს წარუდგინონ საინფორმაციო ანგარიში წიაღით სარგებლობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც უნდა შედგენილიყო ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით. დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საინფორმაციო ანგარიში მოიცავს ტექტს, თანდართული ანალიტიკური და გრაფიკული მასალების განმარტებითი ბარათის სახით. ხოლო მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით განისაზღვრა, რომ სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების განხილვისა და შეთანხმებებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წიაღის რაციონალურად გამოყენებისა და გარემოს დაცვითი ღონისძიებების ეფექტურობას. შესაბამისად, წიაღით მოსარგებლე სუბიექტის მიერ წარდგენილი ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გარემოს დაცვითი ღონისძიებების თაობაზე, რაც უდავოდ განეკუთვნება ინფორმაციის იმ კატეგორიას, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია და უზრუნველყოფილია ნებისმიერი პირისათვის მისი ხელმისაწვდომობა.

პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ წიაღით მოსარგებლე სუბიექტის მიერ წარდგენილი ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გარემოს დაცვითი ღონისძიებების თაობაზე, რაც თავისთავად თავსდება გარემოს შესახებ ინფორმაციის კატეგორიაში და შესაბამისად განეკუთვნება ინფორმაციის იმ სახეს, რომლის გასაიდუმლოება კანონმდებლობით არის აკრძალული.

4.17. პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტზე,

რომლის თანახმად, ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად. მე-5 პუნქტის თანხმად კი, ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.

სააპელაციო პალატა ეყრდნობა "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციას (საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 11 თებერვლის №135 დადგენილებით), რომლის მიხედვით კონვენციის მხარეებმა აღიარეს, რომ ყოველ ადამიანს აქვს მისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესაბამის გარემოში სიცოცხლის უფლება და ამ უფლებებისა და მოვალეობის შესასრულებლად მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს გარემოსდაცვითი ინფორმაცია. კონვენციის მე-2 მუხლის მესამე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით "გარემოსდაცვითი ინფორმაცია" გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორიც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება.

საქართველოს, როგორც აღნიშნული კონვენციის ხელმომწერ მხარეს, აღებული აქვს ვალდებულება უზრუნველყოს ნებისმიერი ადამიანის უფლება მიიღოს არსებული გარემოს შესახებ სრულყოფილი და დროული ინფორმაცია, რაც სახელმწიფოს ავალდებულებს, ფლობდეს და აახლებდეს კიდეც ამ სახის ინფორმაციას.

კონვენციის ზემოაღნიშნული პრინციპი ასევე ასახულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლში, რომლითაც განისაზღვრა ინფორმაციის კატეგორიები, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია. მითითებული მუხლის „ა" პუნქტის მიხედვით ყველას აქვს უფლება იცოდეს ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, როგორც გარემოს შესახებ ინფორმაცია, განეკუთვნება ღია ინფორმაციის სახეს, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, მისი ფიზიკური ფორმისა და მდგომარეობის მიუხედავად.

საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ამ მოვალეობის განმახორციელებელ ორგანოდ

დადგენილია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რომელიც უნდა მოიპოვებდეს, ამუშავებდეს და ფლობდეს კიდეც გარემოს შესახებ ინფორმაციას. ამასთანავე, მოსარჩელე ადმინისტრაციული ორგანოსაგან ითხოვს უკვე არსებული, შექმნილი ინფორმაციის გაცემის დავალებას, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გასცეს მასთან დაცული ინფორმაცია. ინფორმაციის მოთხოვნილი ფორმით მიწოდების შეუძლებლობის შემთხვევაში ის წარედგინება იმ სახით, რომელიც არსებობს ადმინისტრაციულ ორგანოში.

4.18 სააპელაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას და მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალებით არ დასტურდება, რომ სადავო აქტის გამოცემისას გამოკვლეული და შეფასებული იქნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, ლიცენზიის მფლობელების მიერ წარდგენილი ანგარიში (ის ნაწილი, რომლის გაცემაზეც მოსარჩელეს ეთქვა უარი) შეიცავს თუ არა გარემოს შესახებ ინფორმაციას. ასევე არ იქნა გამოკვლეული მიეწოდა თუ არა ააიპ „მწვანე ალტერნატივას" წინა წლების ანგარიში სრულყოფილი სახით. ამასთან, დასახელებულ ნორმათა ანაზილის შედეგად არ შეუფასებია აჭარბებს თუ არა მოსარჩელის ინტერესი - მიიღოს მოთხოვილი ანგარიშის ასლი (სრულყოფილი სახით), ზიანით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელთა ინტერესს - არ გაიცეს მოთხოვილ ანგარიშში მითითებული მონაცემები მათი თანხმობის გარეშე.

4.19. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.2. მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან/და 34-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ან/და კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინსტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

4.20 სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დასახელებულ გარემოებათა გათვალისწინებით, სახეზეა სადავო საკითხის გადაუწყვეტლად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2013 წლის 16 დეკემბრის №ი-344 ბრძანების ბათილად ცნობის და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოსათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი.

4.21. პალატა ასევე ვერ გაიზიარებს აპელანტის მოსაზრებას მასზედ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს არასწორად დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა. პალატა მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 10.2 მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, მართებულად დააკისრა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მოსარჩლის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება.

4.22. სააპელაციო სასამართლო უსაფუძვლობის გამო ვერ გაიზიარებს აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში გამოთქმულ მოსაზრებებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ აპელანტ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლს.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა:

5.1. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა დავა. სააპელაციო საჩივრით ვერ იქნა გაბათილებული სასამართლოს დასკვნები სარჩელის ნაწილობრივ საფუძვლიანობის შესახებ. შესაბამისად მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება.

6. საპროცესო ხარჯები

,6.1. ,სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, აპელანტი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება;

3. განჩინების შეიძლება გასაჩივრდეს კასაციის წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32), დასაბუთებული განჩინების მხარეთათვის გადაცემიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს (მდებარე, თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) მეშვეობით.

მოსამართლე: ნ. კობახიძე

16 02 2015

18